



გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 43

2022 წლის 11 თებერვალი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამების რეგულირების განყოფილების 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამების რეგულირების განყოფილების 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამების რეგულირების განყოფილების 2021 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2021 წლის სამუშაო ანგარიში

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებაში მუშაობს სამი თანამშრომელი: განყოფილების უფროსი და ორი სპეციალისტი. განყოფილების მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით მოხდა შესყიდვა 60 ათასი ლარის ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების შემადგენელი მასალების, შესაბამისი საგზაო ნიშნებით (325 გრ.მ; 156-ცალი საგზაო ნიშანი), რომლის მიღება-ჩაბარება განახორციელა ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებამ, ხოლო მონტაჟს ახორციელებს ა(ა)იპ გორის კეთილმოწყობის სააგენტო და ამით მოგვარდება გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებთან მდებარე სკოლების და ბაგა-ბაღების მიმდებარე ტერიტორიებთან ხელოვნური უსწორმასწორობების მოწყობა

განყოფილების მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების შიდა ქართლის სამმართველოებთან ერთად შესწავლილი და მომზადებული იქნა საგზაო ნიშნების განთავსების საკითხი გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომლის შედეგადაც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წლის განმავლობაში გამოსცა 28-მდე განკარგულება და გორის მუნიციპალიტეტში დამატებით მოეწყო 124-მდე საგზაო ნიშანი და აბრა.

განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საერთაშორისო და შიდასახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხები და აქედან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიამ წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა თხოვნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რის შედეგადაც დეპარტამენტმა გორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ათეულობით ლოკაციაზე დაამონტაჟა ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობები, შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

წლის განმავლობაში განყოფილებამ, ა(ა)იპ გორის კეთილმოწყობის სააგენტოსთან ერთად რამდენჯერმე განახორციელა პარკირების ადგილების ნუსხაში ცვლილებები.

განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა და შემდეგ მოთხოვნილი იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ერთად, რადგან გაკეთებულიყო საერთაშორისო გზების „თბილისი-სენაკი-ლესელიძე“ და „გორი(სატრანსპორტო კვანძი)-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკი“ დამაკავშირებელი (გორის გასასვლელიდან თბილისის მიმართულებით) პანდუსის მოწყობა, რომელიც 2021 წელს მოაწყო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა.

2021 წლის თებერვლის თვიდან ქალაქ გორში ფუნქციონირება დაიწყო მუნიციპალურმა ტრანსპორტმა, ტრანსპორტისა და გარე რეკლამის განყოფილებამ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოსთან“ ერთად, შეიმუშავა მარშრუტები, მთელი წლის მანძილზე სატესტო რეჟიმში მიმდინარეობდა რიგი მარშრუტებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების დადგენა, დღეის მდგომარეობით დადგენილია მუნიციპალური ტრანსპორტისათვის 14 მარშრუტი და 197 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, რომელზეზეც ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშაობა(GPS კორდინატების დადგენა, საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების გაკეთება და სხვა). განყოფილება აგრეთვე მონაწილეობას იღებს მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობის გრაფიკების, სვლა-გეზების და ხარჯთაღრიცხვის შედგენაში და მონიტორინგს უწევს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს“.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განყოფილებამ ჩაატარა კანონდარღვევით განთავსებული სარეკლამო აბრებისა და ბანერების გამოვლენის ინსპექტირება. რის შემდეგაც თითოეულ დამრღვევზე შეიქმნა გაფრთხილების წერილები, რომლებიც გადაცემული იქნა შესაბამის სამსახურებს შემდგომი რეაგირებისათვის.

2021 წელს შეიქმნა გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის კომისია, რომელიც ძირითადად დაკომპლექტდა ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების თანამშრომლებით, გამოცხადებული კონკურსის შედეგად ვერ გამოვლინდა გადამზიდავი, რადგან ვერ მოხდა გადამზიდავების გამო შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა

განყოფილების მიერ, იურიდიულ განყოფილებასთან ერთად მომზადებული იქნა ცვლილებები შემდეგი დადგენილების პროექტებში:

„გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) და კონკურსის წესით გამოვლენილ გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების და სანებართვო მოწმობის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;

„გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“

„გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“;

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“.

განყოფილება დროულად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და კორესპონდენციებზე.